თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №42
2026 წლის 18 მარტი

ქ. თერჯოლა

,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ'' თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 8 იანვრის №2 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,,გ.ბ" ქვეპუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი" 63-ე მუხლისა და „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის საფუძველზე, თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

„თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 8 იანვრის №2 დადგენილების (ვებგვერდი www.matsne.gov.ge, 02.02.2018, სარეგისტრაციო კოდი: 010250050.35.126.016244) დანართში შევიდეს შემდეგი ცვლილებები:

ა) დადგენილების დანართის მე-12 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს ახალ რედაქციით:

„1. ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის ძირითადი ფუნქციებია: მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულების მუშაობის კოორდინაციისათვის ხელშეწყობა, მერიის საქმისწარმოების, საკადრო საკითხთა, აგრეთვე მერიის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და მერიის საქმიანობის ინფორმაციულ-ტექნოლოგიური უზრუნველყოფა, მერის წარმომადგენელთა საქმიანობის კოორდინაცია. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, შესყიდვების წლიური გეგმის პროექტის მომზადება დამტკიცებული შესყიდვების წლიური გეგმის შესაბამისად, შესყიდვების მომზადება და განხორციელება, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა. შესყიდვების და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფისა და საქმიანობის მონიტორინგის განხორციელება. ''.

ბ) დადგენილების დანართის მე-12 მუხლის 1.1 პუნქტი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:

„1.1. ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულებია:

ა) საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება;

ბ) შესყიდვების განყოფილება;

გ) მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილება.".

გ) დადგენილების დანართის მე-12 მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით და დაემატოს 4.1. პუნქტი:

„4. ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის ძირითადი ფუნქციებია: ჯანმრთელობის, სოციალური დაცვისა და დასაქმების მუნიციპალური პროგრამების შემუშავება და განხორციელება; უსახლკაროთა რეგისტრაცია და მათი თავშესაფრით უზრუნველყოფა. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების, ბავშვებისა და მოხუცების საზოგადოებასთან ადაპტირებისათვის შესაბამისი ღონისძიებების გატარება, აგრეთვე შესაბამის სფეროში მუნიციპალიტეტისათვის დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელების უზრუნველყოფა; მოქმედი კანონმდებლობითა და მუნიციპალიტეტის სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული სხვა ფუნქციების განხორციელება; „ბავშვის უფლებათა კოდექსით" გათვალისწინებული ბავშვის დაცვის და მხარდაჭერის მუნიციპალური სამსახურის უფლება-მოვალეობების განხორციელება.

4.1. სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულია:

ბავშვის დაცვის და მხარდაჭერის განყოფილება.“.
მუხლი 2
დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე	სოსო ჩაფიჩაძე